13 ივლისი, 2018 წ

მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოსა“ და საერთაშორისო სოლიდარობის ფონდს (პოლონეთი)

შორის

გორის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მერის, კონსტანტინე თავზარაშვილის სახით,

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო (შემდგომში სააგენტო), წარმოდგენილი დირექტორის მარტა ბიბილაშვილის სახით,

საერთაშორისო სოლიდარობის ფონდი (პოლონეთი), წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარის მაჩეი ფალკოვსკის სახით,

შემდგომში – „მხარეები“, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მხარეები იზიარებენ რა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ სულისკვეთებას, აღიარებენ რა მოქალაქეთა ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლების მნიშვნელობას, თანხმდებიან მრავალმხრივ თანამშრომლობაზე, რათა ხელი შეუწყონ გორის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის მექანიზმის დანერგვას.

მხარეები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის ჩართვა უნდა მოხდეს მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირებისა და განხორციელების ყოველ ეტაპზე – მისი დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულების, განხორციელების შედეგების განხილვის დროს, აგრეთვე კონტროლის ეტაპზე. ასეთ შესაძლებლობას გვაძლევს კარგად მომზადებული და განხორციელებული სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი. ამ მექანიზმის დანერგვა ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ეფექტური მართვის განხორციელებასა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევას.

მხარეები იზიარებენ რა აზრს, რომ თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა თვითმმართველობის პრინციპების რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია და რომ მოქალაქეთა ჩართულობა საშუალებას იძლევა განხორციელდეს ეფექტური ადგილობრივი პოლიტიკა, რომელიც მოსახლეობის საჭიროებებს პასუხობს, იწყებენ თანამშრომლობას, რათა ხელი შეუწყონ „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროცესის განხორციელებას შემდეგი ეტაპების მიხედვით:

1 ეტაპი „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროცესის მომზადება - რეგულაციების მომზადება და მიღება, მოსახლეობაში საინფორმაციო კამპანიის განხორციელება;

2 ეტაპი მოსახლეობის მიერ პროექტების წარდგენა;

3 ეტაპი წარმოდგენილი პროექტების ვერიფიკაცია;

4 ეტაპი მოსახლეობის მიერ პროექტების შერჩევა;

5 ეტაპი „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში შერჩეული პროექტების ასახვა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში, საინფორმაციო კამპანია;

6 ეტაპი „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროექტების განხორციელება და მონიტორინგი ;

7 ეტაპი 2018 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება 2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესისათვის.

მხარეთა ვალდებულებები:

გორის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია განახორციელოს გორის მუნიციპალიტეტში „სამოქალაქო ბიუჯეტი“–ს პროცესი, კერძოდ:

- უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროექტების განსახორციელებლად თანხის გამოყოფა;
- შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო;
- მიიღოს აქტიური მონაწილეობა „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს რეგულაციების მომზადებაში;
- დანიშნოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს კოორდინატორები;
- გაუწიოს მხარდაჭერა კოორდინატორებს და სააგენტოს თანამშრომლებს „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების პროცესში;
- ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების რეგისტრაციის და ვერიფიკაციის სისტემას;
- აისახოს 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში მოსახლეობის მიერ შერჩეული ყველა პროექტი;
- განახორციელოს მოსახლეობის მიერ შერჩეული ყველა პროექტი;
- მოახდინოს მოსახლეობის ინფორმირება პროექტის განხორციელების ეტაპების შესახებ;
- გაუწიოს მონიტორინგი „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების პროცესს.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო ვალდებულია გაუწიოს კოორდინირება გორის მუნიციპალიტეტში „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროცესს, კერძოდ:

- მოამზადოს „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს რეგულაციები და განიხილოს ისინი მხარეებთან ერთად;
- განახორციელოს რეკრუტირება და გაუწიოს კოორდინაცია მობილიზატორების მუშაობას;
- გაუწიოს ორგანიზება და კოორდინირება „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში – მობილიზატორებისა და ადგილობრივი კოორდინატორების თანამშრომლობის კოორდინაცია;
- ორგანიზება გაუწიოს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან შეხვედრებს, პრიორიტეტების განსაზღვრის და „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს შესახებ ინფორმირების ეტაპზე;
- კოორდინაცია გაუწიოს პროექტების შემუშავებისა და წარდგენის ეტაპს;
- კოორდინაცია და ორგანიზება გაუწიოს პროექტების შერჩევასთან დაკავშირებულ შეხვედრებს;
- გაუწიოს მონიტორინგი კოორდინატორებისა და მობილიზატორების მუშაობას;
- შეამუშავოს საინფორმაციო კამპანიის გეგმა და განახორციელოს იგი;
- მოახდინოს მოქალაქეთა ინფორმირება „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს შედეგების შესახებ.

საერთაშორისო სოლიდარობის ფონდი (პოლონეთი) ვალდებულია უზრუნველყოს „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების პროცესის არსებითი და ორგანიზაციული მხარდაჭერა, კერძოდ:

- ჩაატაროს ტრენინგი სააგენტოს თანამშრომლებისთვის, ადგილობრივი კოორდინატორებისთვის და „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს მობილიზატორებისთვის;
- ჩაატაროს კონსულტაციები „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროცესის დანერგვის ყოველ ეტაპზე;
- დააფინანსოს მობილიზატორების (არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების) ანაზღაურება;
- დააფინანსოს საინფორმაციო კამპანია გორის მუნიციპალიტეტში „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროცესის რეალიზაციის შესახებ.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და დამატებითი დებულებები:

1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე;
2. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით;
3. მემორანდუმი შედგენილია პოლონურ და ქართულ ენებზე, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

გორის მუნიციპალიტეტის მერია

www.gori.gov.ge
info@gori.gov.ge
ტელ.: +995 577 500 912

(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო

developmentgori@gmail.com
ტელ.: +995 577 538 320 / +995 574 772 488

Aleksandra Jarosiewicz
Pełnomocniczka Prezesa Zarządu

საერთაშორისო სოლიდარობის ფონდი (პოლონეთი)

www.solidarityfund.pl
sekretariat@solidarityfund.pl
ტელ.: +48 222 90 66 22